**სს „სილქ ბანკი“ აცხადებს ტენდერს ფულის სათვლელი აპარატების შესყიდვაზე.**
ტენდერის მიზანია გამოავლინოს დაინტერესებული კომპანიები, რომლებიც შეძლებენ მოთხოვნილი მომსახურების გაწევას.

**ტენდერის პირობები**

- ტენდერი ცხადება გამარჯვებულთან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება მოთხოვნილი პროდუქციის შესყიდვის ფარგლებში მხარეთა შორის თანამშრომლობის ძირითადი პირობები;
- მომწოდებელი უზრუნველყოფს მოთხოვნილი პროდუქციის მიწოდებას კონტრაქტით განსაზღვრულ ვადებში;
- ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მომწოდებელი კომპანია მისამართზე: ქ.თბილისი , ზაარბრუკენის მოედანი N 2;
- წინადადებაში მითითებული ფასი გამოსახული უნდა იყოს ლარში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ და ტრანსპორტირების/მოწოდების ხარჯები საქართველოს მაშტაბით;

**აუცილებელი მოთხოვნები**

- კომპანიამ უნდა წარმოადგინოს შევსებული ტენდერის სააპლიკაციო ფორმა დანართი N 1;
- წარმოდგენილი სააპლიკაციო ფორმა და წინადადება აუცილებლად უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული;
- კომპანიამ უნდა წარმოადგინოს შესასყიდი ობიექტის აღწერილობა, ტექნიკური დახასიათება;
- პრეტენდენტებმა უნდა ატვირთონ სატენდერო მოთხოვნებში გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი;
- მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტმა არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, უნდა წარმოადგინოს პროდუქციის ნიმუში ბანკის მიერ მითითებულ მისამართზე;
- კომპანიის წინააღმდეგ არ უნდა მიმდინარეობდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და არ უნდა იყოს ლიკვიდაციის / რეორგანიზაციის პროცესში.

***ფუნქციონალური მახასიათებლები :***

- *ბანკნოტების ნამდვილობის და vარგისობის შემოწმება;*
- *დაჯამების რეჟიმი (შეეძლოს კუპიურების რაოდენობის ჩვენება,დათვლილი თანხის ჯამური რაოდენობის ჩვენება);*
- *დახარისხება ნომინალის, სახის, ორიენტაციის, ემისიის მიხედვით;*
- *5/7 ვალუტის დამუშავება და ავტომატური იდენტიფიცირება;*

***ტექნიკური მახასიათებლები :***

- *დეტექცია – ოპტიკური, მაგნიტური, ინფრაწითელი, ულტრაიისფერი, ბანკნოტის გეომეტრიის მზომელი;*
- *თვლის/დახარისხების სისწრაფე – 1500 ბ/წთ;*
- *მიმღები ჯიბის ტევადობა – 500 ბანკნოტი;*
- *დაგროვების ჯიბის ტევადობა – 200 ბანკნოტი;*
- *დაწუნების ჯიბის ტევადობა – 100 ბანკნოტი.*

**ანგარიშსწორების პირობები**

- ბანკის მიერ ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესახებ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში;
- ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;
- მომწოდებელი ვალდებულია ანგარიში გახსნას სილქ ბანკში;
- ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას;

**გამარჯვებულის გამოვლენა**

სატენდერო კომიტეტი განიხილავს წარმოდგენილ ყველა სატენდერო წინადადებას და გამარჯვებულად გამოავლენს ერთ ან რამოდენიმე კომპანიას, ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- შემოთავაზებული პროდუქციის ფასი;
- პროდუქციის ხარისხი/სპეციფიკაცია;
- საგარანტიო პირობები;
- მოწოდების ვადები;
- მომსახურების პირობები.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი პროდუქცია სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ტენდერის პირობებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი იტოვებს უფლებას არ განიხილოს შემოთავაზება.

**პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დამატებითი დოკუმენტაცია:**

- სარეკომენდაციო წერილები (მინიმუმ 2 კომპანიის);
- კომპანიის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია, გამოცდილება, კლიენტების სია (თავისუფალი ფორმით);
- შემოთავაზებული საქონლის დასახელება, დეტალური სპეციფიკაციები და საგარანტიო პირობები;
- შემოთავაზებული პროდუქციის ფოტომასალა.

**თანდართული დოკუმენტაცია :**

დანართი N1 - ტენდერის სააპლიკაციო ფორმა ;
დანართი N2 – ფასების ცხრილი;

**შემოთავაზებების მიღების წესი**

შემოთავაზება დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინოთ სს სილქ ბანკის სათაო ოფისის კანცელარიაში, 3 სექტემბერს დილის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.
მისამართი - ქ. თბილისი, ზაარბრიუკენის მოედანი N 2.

**წარმოსადგენ დალუქულ კონვერტზე აუცილებელი მონაცემები:**

- ტენდერის სახელწოდება;
- კომპანიის სახელწოდება;
- საიდენტიფიკაციო ნომერი;
- საკონტაქტო ინფორმაცია (პასუხისმგებელი პირი, ტელეფონი და ელ.ფოსტა).

ამავდროულად, გთხოვთ სატენდერო წინადადება ასევე გამოაგზავნოთ ელექტრონული ფორმით 4 სექტემბერს შემდეგ ელ.ფოსტაზე procurement@silkbank.ge
დოკუმენტის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით, კითხვები შეგიძლიათ მოიწეროთ procurement@silkbank.ge მისამართზე ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელ. ნომრებზე:

- ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი - შალვა ლეჟავა ტელ: 577362888
- ლოჯისტიკის სამსახურის სპეციალისტი - ელენე მუსხელიშვილი 577372939

მადლობა დაინტერესებისათვის